



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 709

10/04/2018

ქალაქი ბათუმი

709-05-4-201804101627



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის უზრუნველყოფად კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) სოფიო მურვანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოდგილე;
- გ) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- დ) მზევინარ გათენაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- ე) თამილა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ერთეულის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის უზრუნველყოფად კომისიის შექმნის შესახებ,, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 08 აპრილის №333 ბრძანება.

3. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

